საქართველოს ეკონომიკა 2018 წელს

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს ეკონომიკა 2018 წელს

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა

ანგარიში #11

თბილისი 2019

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2019

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4

ეკონომიკური ზრდა 7

მონეტარული პოლიტიკა და ვალუტის კურსი 16

ინფლაცია 18

საგარეო სექტორი 20

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 20

საქონლით საგარეო ვაჭრობა 22

მომსახურებით ვაჭრობა და მიმდინარე ტრანსფერტები 26

სახელმწიფო ბიუჯეტი 29

სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პარამეტრები 29

დღგ 30

საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და აქციზი 30

სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა 32

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა 33

რეკომენდაციები 36

ძირითადი მიგნებები

- მართალია, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მსოფლიო ეკონომიკის მერყეობის ფონზე შეიძლება დამაკმაყოფილებლადაც ჩაითვალოს, თუმცა ზრდის ტემპი ჩამორჩება მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ქმნის აუცილებლობას, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

  ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2014-2018წწ) დაფიქსირებული საშუალო ზრდის ტემპი გარკვეულწილად ჩამორჩება წინა ხუთწლეულის (2009-2013წწ) ზრდის საშუალო ტემპს, თუმცა უფრო ნაკლები რყევებით ხასიათდება;

- 2018 წლის სტატისტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკური ზრდის ძირითადი ტვირთი საფინანსო (13,5%) და სოციალური მოსაზრებებების ზრდაზე (13,2%) მოდის, შემდეგ ადგილზეა უძრავი ქონება (12%), ტურიზმი (10%) და ტრანსპორტი (10%), რაც ნიშნავს რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინდუსტრიის და წარმოების ზრდა;

- კლება დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში (-3.1%), რაც, პირველ რიგში, სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ათვისებაში შეფერხებით შეიძლება აიხსნას.

- 2018 წელს მშპ ერთ სულზე 4345.5 აშშ დოლარს შეადგენს, რაც აღემატება 2015-2017 წლის მაჩვენებლებს, თუმცა ნაკლებია 2013-2014 წლების მაჩვენებლებზე. ამის მიზეზია, დიდი ალბათობით, 2015 წლის სავალუტო კრიზისი, რომელიც თავის მხრივ რეგიონში არსებულ სიტუაციასთან იყო კავშირში (რუსეთ-უკრაინის ომი, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება და შესაბამისი კრიზისები ამ ქვეყნებში) და მისი შედეგებია;

- 2018 წელს მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით) გაცემული სამომხმარებლო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა გაზრდილია უცხოური ვალუტით გაცემული მოკლევადიანი სესხების რაოდენობა. ასევე გრძელვადიანი სესხების მოცულობა და გრძელავდიან სესხებში ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წილი, რაც დიდი ალბათობით ლარიზაციის პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის ჯერ არ იყო ამოქმედებული ახალი საბანკო რეგულაციები, რომელიც მსესხებლებისთბის დამატებით შეზღუდვებს აწესებს. (ამოქმედებულია 2019 წლის 1 იანვარს) მათი შედეგები დიდი ალბათობით 2019 წლის მაჩვენებლებზე აისახება.

- წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში სულ 1,232,448 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. ეს დაახლოებით მესამედით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე; ევროკავშირის ქვეყნების წილზე მოდიოდა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46.1% (569.27 მლნ აშშ დოლარი), თუმცა წინა წელს ეს მაჩვენებელი 200 მლნ ლარით ჩამორჩება; დსთ-ს ქვეყნებიდან 2018 წელს პირველ

ადგილზეა აზერბაიჯანი (240 მლნ აშშ დოლარი, მეორეზე რუსეთი (2017 წელს იყო 43 მლნ აშშ დოლარი, 2018 წელს გაიზარდა – 60 მლნ აშშ დოლარამდე;)

- გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით 45%-ით იმატა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო ენერგეტიკაში მათმა კლებამ მესამედზე მეტი შეადგინა.

- საქონლის ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ექსპორტში კვლავაც ჭარბობს ნედლეული და სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქტები და წყლები. ჯერჯერობით საქართველოს ექსპორტი დივერსიფიცირებული არ არის და მისი კომპოზიციის გამო თვალსაწიერ მომავალში მისი ისეთი სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის, რომ ნეგატიური სავაჭრო სალდო მკვეთრად შემცირდეს.

- საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გაცილებით მეტად დივერსიფიცირებულია ვიდრე ექსპორტი, რაც აიხსნება საქართველოს ეკონომიკის შედარებით ნაკლებად განვითარებით, მისი ზომით და იმ ობიექტური ფაქტით, რომ ასეთი ზომის ქვეყანას არ შეუძლია მოთხოვნადი პროდუქტების ისეთი ფართო ასორტიმენტით წარმოება როგორც დიდ ქვეყნებს, ასევე სხვა ობიექტური ფაქტორებითაც .

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება გეგმის შესაბამისად ხდება, თუმცა ხარჯვა მნიშნელოვანი პრობლემაა – 2017-18 წლებში დაფიქსირდა ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს დადებითი მაჩვენებელი, რომელმაც წელს დაახლოებით მილიარდ ლარს გადააჭარბა. შესაბამისად, ხელისუფლება ახდენს ეკონომიკიდან თანხების ამოღებას და ვერ უზრუნველყოფს მათ დაბანდებას უკან ეკონომიკაში, რაც მნიშნელოვანი პრობლემაა და ეკონომიკური განვითარების, დასაქმებისა და ზრდის მაჩვენებლებზე აისახება.

- მსოფლიო ეკონომიკის მერყეობის ფონზე, დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს მიერ ბიუჯეტის შედარებით კონსერვატიულ დაგეგმვასა და განხორციელებას, რამაც მაღალი დეფიციტის თავიდან არიდების შესაძლებლობა უნდა შექმნას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საგარეო ვალის მნიშვნელობა, და შესაბამისად მისი მომსახურების მოცულობა, ლარებში გადაანგარიშებით.

- 2018 წელს ბოლო ხუთი წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულზე დაფიქსირდა საგარეო ვალის აბსოლუტური მოცულობის ფარდობა მშპ-სთან და მიუახლოვდა საკმაოდ საშიშ 50%-იან ზღვარს.

- 2019 წელს ეკონომიკური შოკები საგარეო ფაქტორებზე მოდის. ამის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება ზრდის შიდა რესურსების, მაგალითად მომსახურების სფეროში ჩართული წარმოების ფაქტორების ეფექტიანობის ხელშეწყობა. ამაში მოიაზრება ინფრასტრუქტურის განვითარება, დეცენტრალიზაციის ინიციატივების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

- რეკომენდებულია მთავრობის მიერ ბოლო დროს გატარებული რეფორმების შედეგების შეფასება და ანალიზი. მაგალითად, ეს ეხება ლარიზაციის პროგრამას. მის შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სტაბილურობისა და დაზოგვა-ინვესტირების, ასევე მონეტარული და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამავე დროს, რეკომენდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წამოწყებული პროგრამების მონიტორინგის გაძლიერება მათი ეფექტიანობისა და გაგრძელების მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

ეკონომიკური ზრდა

საქსტატის დაუზუსტებელი მონაცემებით, 2018 წელს საბაზრო ფასებში მშპ-ს რეალური ზრდა დაახლოებით 4.8%-ს შეადგენდა. ეს თითქმის მთლიანად ემთხვევა 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა მნიშვნელოვნად სჭარბობს 2016 წელს დაფიქსირებულ 2.8%-ს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო ორი საანგარიშო წლის მანძილზე ფიქსირდება მშპ-ს ზრდის ტემპის ოდნავი დაჩქარების ტენდენცია 2015-16 წლების ერთგვარი სტაგნაციის შემდეგ. ზოგადად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული საშუალო ზრდის ტემპი გარკვეულწილად ჩამორჩება წინა ხუთწლეულის ზრდის საშუალო ტემპს, თუმცა უფრო ნაკლები რყევებით ხასიათდება.



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: მოყვანილია 2018 წლის დაუზუსტებელი მონაცემები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2018 წლის იანვარში მომზადებული მსოფლიო ეკონომიკის პროგნოზის მიხედვით, ნავარაუდევი იყო მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით 3.8%-იანი ზრდა[1]. ამასთან, განვითარებული ეკონომიკების ზრდის ტემპი 2.2%-ზე იყო პროგნოზირებული, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისა და გარდამავალი ეკონომიკებისა – დაახლოებით 4.9%-ზე. იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაკეთებული შეფასებით, საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდა 2018 წელს დაახლოებით 4.2% უნდა ყოფილიყო[2]. **ფაქტობ-**

[1] https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2018/01/11/world-economic-outlook-update-january-2018
[2] https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2017/02/weodata/weoselgr.aspx

რივად, საქსტატის მიერ დაფიქსირებული ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება სავალუტო ფონდის პროგნოზს, თუმცა ჩამორჩება პროგნოზს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში გამოიყოფიან საქართველოსთან შედარებადი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნები, რომელთა მშპ-ს წლიური ზრდის ტემპი საქართველოს ამავე მაჩვენებელს ბევრად აჭარბებს.

დიაგრამა #2. საქართველოს დამატებული ღირებულების კომპოზიცია დარგების მიხედვით 2018 წელს (დაუზუსტებელი მონაცემები)



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: მოყვანილია 2018 წლის დაუზუსტებელი მონაცემები

ეკონომიკური ზრდის ტემპთან ერთად 2017 წლიდან სტაბილური დარჩა საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი კომპოზიციაც. **ფაქტობრივად, არ მომხდარა რომელიმე დარგის კონტრიბუციის არსებითი ცვლილება.** როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ წამყვანი რჩება ვაჭრობა და მრეწველობა -17%, რომელთაც მოსდევს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 10.2%-ით. საკმაოდ მაღალია მშენებლობის წილი – 9.3%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა კვლავაც ინარჩუნებს უწინდელ პოზიციებს და ეროვნულ ეკონომიკაში 7.7%-იანი წვლილი შეაქვს.



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: მოყვანილია 2018 წლის დაუზუსტებელი მონაცემები

რაც შეეხება ეკონომიკის კვარტალური ზრდის მაჩვენებლებს, აქ უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი გამოცოცხლების ტენდენცია 2016 წლის შემდეგ, ვიდრე წლიური მონაცემების შემთხვევაში. **2015-2016 წლებში 8 კვარტლიდან მხოლოდ ორში აღემატება ზრდის მაჩვენებელი 3%-ს, მაშინ, როცა 2017-18 წლებში ყოველი კვარტლის ზრდის მაჩვენებელი 4%-ზე მეტია, ერთის გამოკლებით, ხოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში ზრდის მაჩვენებელი აჭარბებს 5%-ს და 6%-იან ნიშნულს უახლოვდება**, რაც საკმაოდ დამაჯერებელ ზრდის ტემპად უნდა ჩაითვალოს გლობალური ეკონომიკური კონიუნქტურის დღევანდელი მდგომარეობის ფონზე. ცხადია, ჯერჯერობით შეუძლებელია საუბარი იმაზე, რომ ეს აღმავლობა ტენდენციის ხასიათს იძენს, თუმცა ის კი დასაშვებია, რომ მიმდინარეობს 2015 წლის სავალუტო და ახლომდებარე რეგიონის ეკონომიკების კრიზისით გამოწვეული ნეგატიური ფაქტორების თანდათანობით დაძლევის პროცესი.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდაში დარგების კონტრიბუციას აბსოლუტური მნიშვნელობით, 2018 წლის IV კვარტალში, დაუზუსტებელი მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა აღინიშნა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში – 16.1%, ტრანსპორტში – 12.6%, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური დახმარებაში – 11.2%, ოპერაციებში უძრავი ქონებით, იჯარასა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაში – 10.7%, კავშირ-გაბმულობაში – 10.0%, ხოლო საფინანსო საქმიანობაში – 8.6%. ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში 6.1%-იანი ზრდა აღინიშნა, ხოლო სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სფერო 5.9%-ით გაიზარდა. გაიზარდა სოფლის

მეურნეობის, ნადირობისა და მეტყევეობისა და თევზჭერის სექტორიც – 5.4%. მოკრძალებული ზრდა დაფიქსირდა სამთომოპოვებითი მრეწველობასა და სახელმწიფო მმართველობაში, ხოლო მშენებლობის სექტორის მშპ-მ 2.4%-ით იკლო. **კიდევ უფრო თვალშისაცემია ვარდნა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებაში – 8.4%.**

რაც შეეხება დარგების მიხედვით კონტრიბუციას წლიურ ზრდაში, აქ გამოსაყოფია საფინანსო საქმიანობის სფეროს ზრდა წინა წელთან შედარებით – 13.5%-ით. წინა წელთან შედარებით 13.2%-ით გაიზარდა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა. დაახლოებით 12%-იანი ზრდა დაფიქსირდა ოპერაციებში უძრავი ქონებით, იჯარასა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაში. დაახლოებით ათ-ათი პროცენტით გაიზარდა სასტუმროებისა და რესტორნების, ასევე ტრანსპორტის სფერო. მნიშვნელოვანი ზრდა, 7.6% ფიქსირდება სამთომოპოვებით მრეწველობაში. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება 6.2%-ით გაიზარდა, ხოლო ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი 5.9%-ით. კავშირგაბმულობის დარგში მშპ-ს მატებამ 5.8% შეადგინა, ხოლო მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა დაახლოებით 3%-იანი კლება. ეკონომიკის დარგების მიხედვით კვარტალურ და წლიურ კონტრიბუციათა შორის არსებული სხვაობა უნდა აიხსნას დარგების თავისებურებებით, სეზონურობითა და სხვა კონიუნქტურული ფაქტორებით, თუმცა ეს ვარიაცია არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებულობით წინა წლებთან შედარებით.



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: მოყვანილია 2018 წლის დაუზუსტებელი მონაცემები

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა ერთგვარი შეჯამებაა დიაგრამა #4, რომელზეც მოცემულია 2010 წლიდან დღემდე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა

პროდუქტის ცვლილების დინამიკა. ამ პერიოდში გამოიყოფა 2015 წლის სავალუტო კრიზისი, როცა აღინიშნა ლარის კურსის არსებითი შემცირება დოლართან მიმართებაში, რამაც გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დაახლოებით 16%-ით კლება დოლარში. ამავე დროს, ლარში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს კლებას ადგილი არ ჰქონია. ის გარემოება, რომ **2015 წლიდან დღემდე ლარში ერთ სულ მოსახლეზე მშპ აგრძლებს მეტ-ნაკლებად სტაბილურ ზრდას იმ ფონზე, რომ მას ჯერაც არ მიუღწევია 2014 წლის დონეზე, მიუთითებს იმას, რომ სავალუტო კრიზისის ნეგატიური შედეგების დაძლევა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ეკონომიკა ახალი წონასწორობისკენ საკმაოდ სტაბილური, თუმცა სასურველზე ერთგვარად დაბალი ტემპებით მიიწევს.**

სტაბილურად ვითარდებოდა საბანკო სფერო 2018 წელს, ეროვნული ბანკის მონაცემებით, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 17.09%-ით და 16,56%-ით, შესაბამისად, ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში. **ამასთანავე, ეროვნული ვალუტით ყველა ბანკის მიერ გაცემული სესხების მოცულობამ შეადგინა 8,956,644 ლარი. ლიდერი სექტორებია ფინანსური შუამავლობა და მრეწველობა.** მათზე ჯამურად მთელი გაცემული სესხების ნახევარზე მეტი მოდის, რაშიც, სავარაუდოდ გადამწყვეტ როლს თავად ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები თამაშობენ. სხვა დარგებიდან გამოირჩევა მშენებლობა. რაც შეეხება გაცემული სესხების დინამიკას, ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციებში, კვლევებსა და კომერციულ საქმიანობაში − 50.64%. დაახლოებით 37%-ით იმატა მშენებლობის, მრეწველობისა და სასტუმროებისა და რესტორნების დაკრედიტებამ. თითქმის განახევრდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული ახალი სესხების მოცულობა. მეტ-ნაკლებად გაიზარდა სესხების მოცულობა სოფლის მეურნეობაში, ხოლო ვაჭრობის დაფინანსება თითქმის არ შეცვლილა. გასულ წელთან შედარებით, ბევრად ნაკლები ახალი სესხი გაიცა ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე − (-41%) და განათლებაზე (-21%).

უცხოური ვალუტით გაცემული ახალი სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 70%-ით გაიზარდა სასტუმროებსა დ რესტორნებზე, 68%-ით ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე, − თითქმის 60%-ით. მშენებლობა და უძრავი ქონებით ოპერაციები, კვლევები და კომერციული საქმიანობა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დაახლოებით 30%-ით მეტ დაფინანსებას იღებს. დაახლოებით 39%-ით ნაკლები სესხი გაიცა სოფლის მეურნეობის სექტორზე, ხოლო განათლების სექტორში მოქმედმა იურიდიულმა პირებმა 2017 წელთან შედარებით 10%-ით ნაკლები სესხი გაიფორმეს. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების აბსოლუტური მოცულობით, ისევე როგორც ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების შემთხვევაში, მრეწველობა და ვაჭრობა ლიდერობენ, რომლებზეც მთელი სესხების მასის ნახევარზე მეტი მოდის. თავის მხრივ, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული ახალი სესხების სიდიდე 2018 წელს 8,369 მილიარდ ლარს შეადგენდა.

საინტერესო სურათს იძლევა სამომხმარებლო სესხების დინამიკის გაცნობა 2010-2018 წლებში. **გასულ წელს მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით) გაცე-**

მული სამომხმარებლო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა გაზრდილია უცხოური ვალუტით გაცემული მოკლევადიანი სესხების რაოდენობა. ეს ალბათ გამოწვეულია შესაბამისი რისკ-ფაქტორების მოქმედებით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის სავალუტო კრიზისის შემდეგ მიღებული ნეგატიური ტენდენციები, საბოლოოდ დაძლეული ჯერ კიდევ არაა. მოსალოდნელია, რომ 2019 წელს, თუკი 2016 წლიდან აღებული ტრენდი შენარჩუნდება, სამომხმარებლო სესხების დინამიკა გავა 2015 წლის წინანდელ ტრაექტორიაზე, თუმცა ბევრად გადააჭარბებს მას აბსოლუტური მნიშვნელობით.

დიაგრამა #5. ეკონომიკაზე გაცემული მოკლევადიანი სესხების ჯამური მოცულობა (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება გრძელვადიანი პერიოდით გაცემულ სამომხმარებლო სესხებს, აქ 2017 წელთან შედარებით ფიქსირდება დაახლოებით 9%-იანი ზრდა. ამასთანავე, საკმაოდ დამაჯერებელია სამომხმარებლო კრედიტის ზოგადი ზრდის ტენდენცია 2010 წლიდან, რაც ვერ დააბრკოლა 2015 წლის სავალუტო პრობლემებით გამოწვეულმა სირთულეებმა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინტერესოა ის, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირებულია უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა. თუ ეს ტენდენციაა, იგი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ლარიზაციის პროგრამის ამოქმედებას. (ამოქმედდა 2017 წლის 17 იანვარს); 2010-18 წლების პერიოდში აშკარად გამოკვეთილი ტენდენციაა გრძელვადიანი სესხების უცხოური ვალუტით გაცემის მნიშვნელობის კლება. თანდათანობით ეროვნული ვალუტა ლარი სამომხმარებლო დაკრედიტების ბაზრის დომინანტი ვალუტა ხდება. დიაგრამაზე ნაჩვენები სურათი მიუთითებს, რომ სავარაუდოდ, იგი 2018 წლის შემდეგაც გაგრძელდება.

რაც შეეხება სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, აქ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დიდი ცვლილებები არ დაფიქსირებულა, თუმცაღა კვლავ გრძელდება ძალიან ნელი ტენდენცია ეროვნული ვალუტით რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე წლიური განაკვეთის ნელი შემცირებისა. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების წლიური სარგებლის განაკვეთი 2017-18 წლებში დაახლოებით 11-12%-ის დიაპაზონში მერყეობს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინტერესო სურათს იძლევა რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე სარგებლის განაკვეთის დინამიკა. განაკვეთები აქ ხარისხობრივად უფრო დაბალ მაჩვენებლებზე აღირიცხება. ასე მაგალითად, ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების დინამიკა. აქაც აღინიშნება ძალიან ნელი დაღმავალი ტენდენცია, თუმცა საგულისხმოა ის, რომ

2018 წლის განმავლობაში რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე წლიური სარგებლის განაკვეთი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების განაკვეთზე დაბალია. ფიზიკური პირების შემთხევაში, 2018 წლის ოქტომბერში განაკვეთი ჩამოცდა წლიურ 8%-ს, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, ერთგვარი ვოლატილობის მიუხედავად, ნელ-ნელა უახლოვდება ამ მაჩვენებელს.

რაც შეეხება ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 2018 წლის გასაშუალოებულ, წლიურ განაკვეთებს, ისინი იურიდიული პირებისათვის 2017 წლის 7.9%-დან დაახლოებით 7.6%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირებისათვის − 9.8%-დან დაახლოებით 9%-მდე. ასეთივე ძალიან ნელი კლების ტენდენციაა უცხოურ ვალუტაში განთავსებული სახსრების განაკვეთებზე. იურიდიული პირებისათვის ეს მაჩვენებელი 2017 წლიდან 2018 წლამდე საშუალოდ 3.2%-დან 3%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირებისათვის დაახლოებით 3%-დან დაახლოებით 2.7%-მდე. 2018 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა სესხების ვადიანობის მაჩვენებლები.

მონეტარული პოლიტიკა და ვალუტის კურსი

გრაფიკ #2-ში მოყვანილია ბოლო სამი წლის განმავლობაში ის ეპიზოდები, როცა ეროვნული ბანკი ცვლიდა მონეტარული პოლიტიკის ძირითად განაკვეთს. ამ თვალსაზრისით, 2018 წელი გაცილებით უფრო სტაბილური გამოდგა წინა წლებთან შედარებით, ვინაიდან პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების გადაწყვეტილება ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ერთხელ მიიღო, 2018 წლის 13 დეკემბერს, როცა განაკვეთი 7.25%-დან 7%-მდე დაწია. 2016 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ხუთჯერ შეიცვალა შემცირების, და აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ამასთან შედარებით, 2017 წელი უფრო მშვიდი იყო და დაფიქსირდა განაკვეთის ცვლილების სამი შემთხვევა, თუმცა სამივე – აღმავალი მიმართულებით. **მთელი 2018 წლის განმავლობაში ძალაში იყო 2017 წელს დაფიქსირებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, სანამ არ მოხდა მისი კორექტირება 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით. განაკვეთი 7.25%-დან 0.25% პუნქტით შემცირდა.**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის განმავლობაში საკმაოდ მერყევი იყო ლარის კურსი. 2018 წლის ბოლოსათვის იგი თითქმის გაუთანაბრდა წლის დასაწყისში დაფიქსირებულ დონეს, თუმცა, წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საკმაოდ გამოკვეთილ მერყეობას. ყველაზე მაღალი კურსი დაფიქსირდა ზაფხულის თვეებში, როცა ერთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დოლარის ფასი 2.41-2.50 ლარის დიაპაზონში მერყეობდა. შემოდგომიდან ადგილი აქვს ლარის ერთგვარ გაუფასურებას დოლართან მიმართებაში, თუმცა ეს მერყეობა ძალიან დიდი არ არის. ამავე დროს, ლარის გამყარების ეპიზოდი ემთხვევა ეროვნული ბანკის განკარგვაში არსებული უცხოური სავალუტო რეზერვების მოცულობის კლებასაც, რომელმაც წლის განმავლობაში მინიმალურ ნიშნულს აგვისტოში მიაღწია. ამის შემდეგ იწყება რეზერვების ზრდის ტენდენცია და წლის ბოლოსათვის მათმა მოცულობამ დაახლოებით 3.3 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

ინფლაცია

საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ამ ეტაპზე 3%–ით განისაზღვრება. თავის დროზე ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლის 3%-მდე შემცირებისა, თუმცა ეს ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო და 2017 წლისათვის მიზნობრივ მაჩვენებლად 4% დადგინდა. ეროვნული ბანკის განმარტებით, „მონეტარული პოლიტიკის ფორმირება ხდება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე დაყრდნობით, რათა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი იქნას მიღწეული. საშუალოვადიანი პერიოდის ჰორიზონტი დამოკიდებულია ეკონომიკაში არსებულ შოკებსა და ეგზოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ინფლაციასა და ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედებს.“

ამასთანავე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრას განაპირობებს შემდეგი რამდენიმე ფაქტორი: ინერცია, იმპორტირებული ინფლაცია, შუალედური ხარჯები, მოლოდინები, ერთობლივი მოთხოვნა და სხვა ფაქტორები. ამ ფაქტორებისგან 2018 წელსა და უშუალო რამდენიმე წლის წინანდელ პერიოდში ინფლაციის მიზნობრივ ნიშნულზე მაღლა გადახრასთან ასოცირებულია ერთობლივი მოთხოვნის ფაქტორი, ყველა სხვა კი ასოცირებულია დაბლა გადახრასთან.[3]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2015-16 წლების სავალუტო კრიზისის ნეგატიური ასპექტების თანდათანობითი დაძლევის შემდეგ ადგილი აქვს წლიური ინფლაციის მატების ტენდენციას. ამ

[3] https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2018/publish_mr_february_2018.pdf

მაჩვენებელმა 2017 წელს გადააჭარბა მიზნობრივ 5%-ს, თუმცა, მას შემდეგ აღინიშნება მისი სტაბილიზაციის ტენდენცია, რაც სავარაუდოდ, გამოწვეული იყო ეროვნული ბანკის აქტიური მოქმედებით შესაბამის პერიოდში. რაც შეეხება 2018 წელს დაფიქსირებული წლიური ინფლაციის მაჩვენებლებს, ივნისისათვის ის უკვე ჩამოსცდა მიზნობრივ 3%-ს, ხოლო წლის ბოლოსათვის კიდევ უფრო დაბალ ნიშნულზე ფიქსირდება.

ყოველთვიური ინფლაცია 2018 წლის განმავლობაში ყოველთვის 1%-ზე, ხშირ შემთხვევაში კი ამაზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ხოლო მარტში, აპრილში, ივნისსა და ივლისში აღირიცხა ინფლაციის ნეგატიური მაჩვენებელიც. ეროვნული ბანკის მიერ ფრთხილად შემცირებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ინფლაციის ოდნავ გაზრდის ამოცანას ემსახურება. **2019 წელს ინფალაციისა და მისი მართვის თვალსაზრისით ბევრი იქნება დამოკიდებული აშშ-ს ფულად პოლიტიკაზე, გლობალურ სავაჭრო კონიუნქტურაზე და სხვა ფაქტორებზე, რომელთაც ლარის კურსზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის შიდაეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად.**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მწარმოებელთა ფასების ინდექსი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი ეკონომიკაში არსებული სიტუაციისა, არ ამჟღავნებს დიდ მერყეობას 2018 წლის განმავლობაში. თუ 2010 წელს მივიღებთ საწყის წერტილად, არც ამის შემდეგ და არც 2018 წლის თვეებს შორის დაფიქსირებულა ისეთი ვარიაცია, რაც განსაკუთრებული შეშფოთების მიზეზი გახდებოდა.

საგარეო სექტორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში სულ 1,232,448 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. ეს დაახლოებით მესამედით ნაკლებია 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელზე. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პირდაპირ უცხოური ინვესტიციების გარკვეული კლების ტენდენცია საქართველოში უკვე 2014 წლიდან იკვეთება. მდგომარეობა ამ მიმართულებით გამოსწორდა გასულ, 2017 წელს, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ გადააჭარბა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და დაახლოებით 1.9 მილიარდი დოლარის ნიშნულზე დაფიქსირდა, თუმცა წლეულს აღრიცხულია ინვესტიციების მკვეთრი კლება. ინვესტიციების მიმღები წამყვანი დარგებია საფინანსო სექტორი – 278 მილიონი აშშ დოლარით, ტრანსპორტი – დაახლოებით 210 მილიონი აშშ დოლარით, ენერგეტიკა – 157 მილიონი აშშ დოლარით, დამამუშავებელი მრეწველობა – 142 მილიონი აშშ დოლარით, მშენებლობა – 103 მილიონი აშშ დოლარით და ოპერაციები უძრავი ქონებით – 90 მილიონი დოლარით. გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით 45%-ით იმატა

ცხრილი #1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ათასი აშშ დოლარი) ეკონომიკის დარგების მიხედვით

	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	**1,817,690**	**1,665,558**	**1,565,838**	**1,894,491**	**1,232,448**
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	12,290	18,591	8,355	12,387	15,940
სამთომოპოვებითი მრეწველობა	45,349	88,028	49,731	51,769	66,705
დამამუშავებელი მრეწველობა	211,648	98,353	125,616	98,611	142,318
ენერგეტიკა	189,999	123,660	144,954	224,126	157,151
მშენებლობა	324,606	143,551	168,734	283,101	103,635
სასტუმროები და რესტორნები	132,794	141,370	56,115	72,239	72,323
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	433,655	587,467	635,769	489,536	174,660
ტრანსპორტი	...	608,115	576,045	472,567	209,903
კავშირგაბმულობა	...	-20,649	59,725	16,969	-35,244
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	-8,848	140,326	29,543	7,228	13,163
უძრავი ქონება	149,587	91,403	49,565	182,173	90,019
საფინანსო სექტორი	126,581	201,964	141,149	302,591	277,855
დანარჩენი სექტორები	200,027	30,845	156,306	170,732	118,678

წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი
შენიშვნა: 2018 წლისთვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო ენერგეტიკაში მათმა კლებამ მესამედზე მეტი შეადგინა. თითქმის ორი მესამედით ნაკლებია ინვესტიციები გასულ წელთან შედარებით მშენებლობის სექტორში. დაახლოებით იმავე ტემპით იკლო ინვესტიციებმა ტრანსპორტის სფეროში, ხოლო კავშირგაბმულობის სექტორში დაფიქსირებულია მკვეთრი დივესტიცია, – დაახლოებით 35 მილიონი დოლარის მოცულობით. განახევრებულია ინვესტორთა აქტივობა უძრავი ქონებით ოპერაციებში, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საფინანსო სექტორში დაახლოებით 10%-ით შემცირდა.

წარმომავლობის მიხედვით, საქართველოში შემოსული ინვესტიციები შეგვიძლია დავახარისხოთ ევროკავშირის, დსთ–სა და სხვა ქვეყნების მიხედვით. მათგან, ევროკავშირის ქვეყნების წილზე მოდიოდა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46.1% (569.27 მლნ აშშ დოლარი). ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების დაახლოებით 36% (203,7 მილიონი აშშ დოლარი) მოდიოდა გაერთიანებულ სამეფოზე, ხოლო 29.4% – ნიდერლანდებზე (167.85 მილიონი აშშ დოლარი). მომდევნო მსხვილი ევროპული ინვესტორები საქართველოსათვის არიან ჩეხეთი – 72 მილიონი აშშ დოლარით, ლუქსემბურგი – 48 მილიონი აშშ დოლარითა და გერმანია – 42 მილიონი აშშ დოლარით. საკმაოდ მსხვილი ინვესტორები არიან მალტა და საფრანგეთიც. საინტერესოა, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან, 2018 წელს საქართველოდან კვიპროსში დაფიქსირდა კაპიტალის გატანა დაახლოებით 90 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით. **ჯამურად, 2017 წლიდან 2018 წლამდე ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 200 მილიონი დოლარით შემცირდა.**

2018 წელს დსთ-ს ქვეყნებმა საქართველოში დაახლოებით 288 აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი ინვესტიციები დააბანდეს, 2017 წლის 513 მილიონ დოლართან შედარებით. ქვეყნების ამ ჯგუფში ლიდერია აზერბაიჯანი – 240 მილიონი აშშ დოლარით, თუმცა ამ ქვეყანამ 2017 წელს საქართველოში გაცილებით მეტი – 465 მილიონი აშშ დოლარი დააბანდა. დსთ-ს ქვეყნებიდან მეორე უმსხვილესი ინვესტორია რუსეთი, რომელმაც პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2017 წლის 43 მილიონი აშშ დოლარიდან 2018 წელს 60 მილიონ დოლარამდე გაზარდა. **საბოლოოდ, ძირითადად აზერბაიჯანული ინვესტიციების შემცირების ხარჯზე, დსთ-ს ქვეყანათა ჯგუფის პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში 2017 წლიდან 2018 წლამდე დაახლებით 44%-ით შემცირდა.**

დანარჩენი ქვეყნების პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში 2018 წელს დაახლოებით 373 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, განსხვავებით 2017 წლისაგან, როცა მათი მოცულობა 612 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, რაც დაახლოებით 40%-იან კლებას ნიშნავს. წლეულს წამყვანი ინვესტორი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია – 103 მილიონი დოლარით, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 24 მილიონი დოლარით აღემატება. მეორე უმსხვილესი ინვესტორი პანამაა – დაახლოებით 75 მილიონი დოლარით, რომელმაც ინვესტიციების მოცულობა გასულ წელთან შედარებით დაახლოებით 41 პროცენტით გაზარდა. ამ ქვეყნებს მოსდევენ ჩინეთი და კორეა, შესაბამისად 65 და 63 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიციებით. საგულისხმოა, რომ ორივე ამ

ქვეყანამ ინვესტიციების მოცულობა 2017 წლიდან შესაბამისად, დაახლოებით 20 და 26 მილიონი დოლარით გაზარდა. გასულ წელს საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი თურქეთი იყო – 288 მილიონი აშშ დოლარით. **წლეულს ამ ქვეყანაზე მოდის დივესტიცია 11 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით**, რითაც დიდწილად უნდა აიხსნას დანარჩენი მსოფლიოდან ინვესტიციების სერიოზული კლების უმეტესი წილი. მოიკლო ინვესტიციებმა იაპონიიდან, შვეიცარიიდან და განსაკუთრებით არაბთან გაერთიანებული ემირატებიდან.

საქონლით საგარეო ვაჭრობა

2018 წლის დაუზუსტებელი მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტი აჭარბებს 3,35 მილიარდ ამერიკულ დოლარს, ხოლო იმპორტი – 9,12 მილიარდ ამერიკულ დოლარს. მთლიანად, წლის განმავლობაში, ისევე, როგორც წინა წლებში დაფიქსირდა საგარეო ვაჭრობის მკვეთრად გამოხატული ნეგატიური სალდო დაახლოებით 46%-ის ნიშნულზე.

დიაგრამა #9. საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მილიონი აშშ დოლარი) და სალდო (ბრუნვის %)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

საინტერესოა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა სერიოზულად შემცირდა 2014-15 წლების სავალუტო კრიზისის შემდეგ. იკლო როგორც ექსპორტმა, ასევე იმპორტმაც, განსაკუთრებით ახლო სამეზობლოს სავაჭრო პარტნიორების ხარჯზე. **2015 წლიდან ადგილი აქვს საქართველოს საგარეო ვაჭრობის კრიზისამდელი დინამიკის აღდგენის ტენდენციებს. საინტერსოა,**

რომ ვაჭრობის შემცირებას ერთწლიანი ლაგით მოჰყვა ნეგატიური სავაჭრო სალდოს სერიოზული ზრდა (დაახლოებით 10%-ით), რის შემდეგაც, ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური მაჩვენებლების აღდგენის ფონზე ნელ-ნელა მცირდება ნეგატიური სავაჭრო სალდოს ფარდობითი მნიშვნელობა, თუმცა ნეგატიური სალდოს აბსოლუტური მნიშვნელობა კვლავაც იზრდება.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

საქართველოს ექსპორტის კომპოზიცია პროდუქტების მიხედვით შედარებით ნელა განიცდის ევოლუციას. მთელი ექსპორტი 2017 წლიდან 2018 წლამდე გაიზარდა დაახლოებით 22%-ით, მათ შორის სპილენძის მადანი 19%-ით, ხოლო მსუბუქი ავტომობილები – დაახლოებით 74%-ით, შეადგინა რაც დაახლოებით 409 მილიონი ამერიკული დოლარია. ფაქტობრივად, რეექსპორტის ეს მუხლი წლიდან წლამდე ინარჩუნებს საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტის ფუნქციას. ღვინისა და ფეროშენადნობების ექსპორტი დაახლოებით თხუთმეტ-თხუთმეტი პროცენტით გაიზარდა. ზოგადად, ექსპორტში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპირტიანი სასმელები – 127 მილიონი აშშ დოლარით და მტკნარი და მინერალური წყლები – 97 მილიონი ამერიკული დოლარით. ასევე მნიშვნელოვანი ერთეულებია აზოტოვანი სასუქები – 76 მილიონი ამერიკული დოლარი და ოქრო – 71 მილიონი აშშ დოლარი. დანარჩენი საქონელი საქართველოს ექსპორტში დაახლოებით 1,375 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც დაახლოებით 6%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. **საქონლის**

ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ექსპორტში კვლავაც ჭარბობს ნედლეული და სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქტები და წყლები. ჯერჯერობით საქართველოს ექსპორტი დიდად დივერსიფიცირებული არ არის და მისი კომპოზიციის გამო თვალსაწიერ მომავალში მისი ისეთი სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის, რომ ნეგატიური სავაჭრო სალდო მკვეთრად შემცირდეს.

რაც შეხება საქართველოს ექსპორტის კომპოზიციას ქვეყნების მიხედვით, აქ წამყვანია აზერბაიჯანი – 502 მილიონი ამერიკული დოლარით, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი. საექსპორტო პროდუქციის დანიშნულების ქვეყნებს შორის მეორე ადგილეზე რუსეთი – 437 მილიონი აშშ დოლარით. იზრდება ექსპორტი სომხეთში და აღწევს 284 მილიონ დოლარს, ხოლო 2018 წლის ექსპორტი ბულგარეთში დაახლოებით 259 მილიონ აშშ დოლარს ადგენს. გეოგრაფიულად შედარებით მოშორებული სავაჭრო პარტნიორებიდან გამოკვეთილია და იზრდება ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების როლი, შესაბამისად 198 მილიონი აშშ დოლარითა და 159 მილიონი ამერიკული დოლარით.

დიაგრამა #11. საქართველოს ექსპორტი უმთავრესი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 2018 წელს (ათასი აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

სხვა სერიოზული სავაჭრო პარტნიორებიდან გამოირჩევიან გერმანია და საფრანგეთი, რომლებშიც ექსპორტი მართალია იზრდება, მაგრამ, შედარებით ნაკლები ტემპით.

საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გაცილებით მეტად დივერსიფიცირებულია ვიდრე ექსპორტი, რაც აიხსნება საქართველოს ეკონომიკის შედარებით ნაკლებად განვითარებით, მისი ზომით და იმ ობიექტური ფაქტით, რომ ასეთი ზომის ქვეყანას არ შეუძლია მოთხოვნადი პროდუქტების ისეთი ფართო ასორტიმენტით წარმოება როგორც დიდ ქვეყნებს, ასევე სხვა ობიექტური ფაქტორებითაც. 2018 წელს 10 წამყვან საიმპორტო პროდუქტის ჯგუფებზე მოდიოდა მთელი იმპორტის მხოლოდ 1/3, დანარჩენი კი ისეთი მუხლების ერთობლიობაა, რომელთაგან არცერთი აღემატება მთლიანის 10%-ს.

დიაგრამა #12. საქართველოს იმპორტი ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2018 წელს (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

როგორც მოსალოდნელია, იმპორტში ჭარბობს ენერგეტიკული პროდუქტები. დიდი როლი ენიჭებათ მსუბუქ ავტომობილებს, რომელთა მეტი წილი შემდგომში ქვეყნიდან ექსპორტზე გადის. ნაწილობრივ იგივე ეხება მედიკამენტებს, სატელეფონო აპარატებსა და გამომთვლელ მანქანებს. სტაბილურია იმპორტში ხორბლისა და მესლინის აბსოლუტური მნიშვნელობა, თუმცა, დროთა განმავლობაში კლებულობს მისი იმპორტის წილი.

დიაგრამა #13. საქართველოს იმპორტი უმთავრესი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 2018 წელს (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

საქართველოს იმპორტში სამომხმარებლო საქონლის მიმართულებით ტრადიციულად ლიდერობს თურქეთი, ხოლო რუსეთსა და აზერბაიჯანს ენერგეტიკული პროდუქტების მომწოდებელთა როლი აკისრიათ. წამყვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა ჩინეთი – საქონლის ფართო ასორტიმენტით, ასევე უკრაინა. ევროკავშირის ქვენებიდან ლიდერია გერმანია – ავტომობილებითა და სხვა საქონლის იმპორტის ფართო სპექტრით. ზოგადად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის თავისებურებები წლიდან წლამდე შედარებით ნაკლებად იცვლება. **აშკარად დომინირებს იმპორტი, როგორც რაოდენობრივი, ისე ასორტიმენტის და გეოგრაფიული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ამასთანავე ექსპორტის მკვეთრად ზრდის პოტენციალი მოკლევადიან პერიოდში მკაფიოდ არ ჩანს.**

მომსახურებით ვაჭრობა და მიმდინარე ტრანსფერტები

საქართველოს საგადახდელო ბალანსში, კერძოდ, მის მიმდინარე ანგარიშში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მომსახურებით ვაჭრობა და მიმდინარე ტრანსფერტები. ეს ორი მუხლი საქონლით ვაჭრობის ნეგატიური ბალანსის ერთგვარი „გამაწონასწორებელია.“ მომსახურებით ვაჭრობა ტრადიციულად დადებითია და 2017 წელს უკვე ორ მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. მომსახურების შემთხვევაში თითქმის არ იგრძნობა 2014-15 წლების სავალუტო

კრიზისისა და მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური სირთულეების შედეგები. ეს მუხლი საკმაოდ სტაბილურია და ნელი ზრდის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

ნელი ზრდით ხასიათდება მიმდინარე ტრანსფერტების რაოდენობა 2015 წლიდან, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ტრანსფერტების ადრესანტი ძირითადი ქვეყნები (რუსეთი, საბერძნეთი, თურქეთი, სამხრეთ ევროპის სახელმწიფოები) თავად განიცდიან ეკონომიკურ სირთულეებს.

2017 და 2018 წლების პირველი სამი კვრატლის მომსახურებისა და მიმდინარე ტრანსფერტების შეფასება აჩვენებს, რომ **სავარაუდოდ, შენარჩუნდება ზრდის ტენდენცია და 2018 წლის დაზუსტებული მონაცემებით დაფიქსირდება ამ ორივე პარამეტრის ზრდა. მოსალოდნელია, რომ სხვა პირობების თანაბრობის შემთხვევაში, მომსახურებისა და მიმდინარე ტრანსფერტების ზრდა გაგრძელდება 2019 წლის განმავლობაშიც.**

სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პარამეტრები

2018 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების მაჩვენებელი განისაზღვრა 9,490 მილიონი ლარით, ხოლო მობილიზებულმა სახსრებმა, წინასწარი მონაცემებით 9,695.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაგეგმილი მაჩ ვენებლის 102.17%-ია.

ცხრილი #2. სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა და შესრულება (ათასი ლარი)			
დასახელება	**2018 წლის გეგმა**	**2018 წლის შესრულება**	**შესრულების%**
გადასახადები	**9,490,000**	**9,695,900**	102.17%
საშემოსავლო გადასახადი	2,780,000	2,877,900	103.52%
მოგების გადასახადი	630,000	736,600	116.92%
დღგ	4,400,000	4,426,900	100.61%
აქციზი	1,450,000	1,465,700	101.08%
იმპორტის გადასახადი	60,000	73,400	122.33%
სხვა გადასახადები	170,000	115,400	67.88%

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

შესრულების გარდამეტი დაგეგმილზე ფიქსირდება იმპორტისა და მოგების გადასახადების მიმართულებით, – შესაბამისად 22% და 16%. ამავე დროს, მუხლობრივად უდიდესი გადასახადების ტიპების, დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადის შესრულება შესაბამისად, 100.61% და 103.52%-ს შეადგენს. გეგმა ვერ სრულდება სხვა გადასახადების მიმართულებით, რომლებიც 2018 წლის ბიუჯეტში არსებით როლს არ თამაშობენ.

2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის შემოსავლების საშუალოდ უფრო სწრაფ ზრდას ხარჯებთან შედარებით. ამიტომაც, 2017-18 წლებში დაფიქსირდა ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს დადებითი მაჩვენებელი, რომელმაც წლეულს დაახლოებით მილიარდ ლარს გადააჭარბა. **ამასთანავე, ბიუჯეტის მთლიანი სალდო სტაბილურად ნეგატიური რჩება და კიდევ უფრო გაიზარდა 2018 წელს არაფინანსური აქტივების მკვეთრი ცვლილების გამო.**

დღგ

2014-2016 წლებში შეინიშნებოდა გარკვეული პრობლემები დამატებული ღირებულების გადასახადის მობილიზების თვალსაზრისით. 2014 წლიდან 2015-მდე ამ გადასახადის მობილიზება მხოლოდ 6%-ით გაიზარდა და 2015 წლის ეკონომიკური პრობლემების გამო დაბრუნდა 2014 წლის მაჩვენებელზე. ამის მერე ადგილი ჰქონდა ამ გადასახადის მობილიზების დამაჯერებელ ზრდას 25%-ით, რის შემდეგაც ზრდის ტემპი სტაბილური გახდა და 2017 წლიდან 2018 წლამდე 7.3%-ით. აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. **პირველ რიგში, ხაზგასასმელია ლარის გაუფასურების ფაქტორი, რის გამოც, ამოღებული დღგ-ს რეალური მოცულობა ნომინალურზე გაცილებით ნაკლებია, თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ დღგ-ს ამონაგების ზრდა უკავშირდება ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებასაც.** ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების პირობებში, მომდევნო წელს სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ს მობილიზაციის გეგმიური მაჩვენებლის მიღწევა სახელმწიფომ უნდა მოახერხოს, სხვა პირობების თანაბრობის შემთხვევაში.

საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და აქციზი

საშემოსავლო გადასახადის დინამიკაში, ისევე როგორც დღგ-ს მობილიზაციის შემთხვევაში, იგრძნობა ლარის გაუფასურების შედეგები, თუმცაღა 2016 წლიდან სახეზეა საშემოსავლო გადასახადის მობილიზაციის მატების ტენდენცია.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

საშემოსავლო გადასახადის მობილიზაცია 2016-დან 2017 წლამდე თითქმის მესამედით გაიზარდა, თუმცა 2017-დან 2018 წლამდე ზრდა გაცილებით უფრო მოკრძალებულია და 11-12%-ს შეადგენს. ამავე დროს, სათუოა, რომ საშემოსავლო გადასახადის ზრდა უმეტესწილად უკავშირდებოდეს ლარის გაუფასურებას, ვინაიდან ხელფასები და შრომის ანაზღაურება გაცილებით ნელა რეაგირებს ვალუტის კურსის ცვლილებაზე, ვიდრე საქონელი და მომსახურება. ეს მოსაზრება მით უმეტეს საყურადღებოა, რომ საშემოსავლო გადასახადი გროვდება ძირითადად არავაჭრობად სექტორებში დასაქმებულთაგან.

2017 წლიდან საქართველოში ძალაში შევიდა „ესტონურ მოდელად“ ცნობილი მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის თანახმადაც ბიზნესი თავისუფლდებოდა მისგან რეინვესტირების პირობით. მთავრობა გეგმავდა, რომ ამ გადასახადის შესაძლო დანაკლისს 2017-18 წლებიდან მოყოლებული აქციზის გაზრდით დააკომპენსირებდა. ნომინალური მაჩვენებლების ანალიზით ჩანს, რომ 2017 და 2018 წლებში აქციზის ზრდამ გააწონასწორა მოგების გადასახადის რეფორმით საბიუჯეტო შემოსავლების დეფიციტი. მოგების გადასახადიდან ამონაგების შემცირება, სავარაუდოდ, მართლაც უკავშირდება ამ რეფორმას, რადგან მობილიზაციის კლება დროში ემთხვევა ეკონომიკის გამოცოცხლების დასაწყისს და არა პრობლემებს, რომლებიც 2014, 2015 და 2016 წლებში პრევალირებდა. აქციზის გაზრდა შესაძლოა გამართლებული იყოს ვაჭრობადი სექტორის ვოლატილობის პირობებში, მაშინ როცა აქციზური საქონლის (მაგალითად, ენერგეტიკული საქონელი, თამბაქოს ნაწარმი) დიდი წილი იმპორტულია. ამავე დროს, ამ სამივე გადასახადის მობილიზაციაში სახელმწიფოს მიერ დაფიქსირებული შედეგის შესაფასებლად აუცილებლად გასათვალისწინებელია ლარის გაუფასურების ფაქტორი და საჭიროა რამდენიმეწლიანი დაკვირვება.

სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა

ხარჯების სტრუქტურის თვალსაზრისით, საქართველოს ბიუჯეტი ინარჩუნებს სტაბილურობას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. სოციალური ხარჯები მთელი ხარჯების დაახლოებით 37%-ს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალია 2014-18 წლების პერიოდში, თუმცა მხოლოდ დაახლოებით 3%-ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს.

ცხრილი #3. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (ათასი ლარი)

	2014	2015	2016	2017	2018
მთლიანი ხარჯები	**7,479,500**	**8,158,000**	**8,741,800**	**9,372,100**	**9,543,700**
შრომის ანაზღაურება	1,296,200	1,376,800	1,452,300	1,385,400	1,407,600
საქონელი და მომსახურება	875,400	946,200	1,117,800	1,248,500	1,288,300
პროცენტი	244,900	326,600	397,700	476,600	513,100
სუბსიდიები	274,500	245,700	359,300	541,400	444,700
გრანტები	1,067,800	1,271,400	935,100	968,600	1,282,700
სოციალური უზრუნველყოფა	2,547,700	2,802,400	3,150,100	3,324,300	3,501,300
სხვა ხარჯები	1,173,000	1,188,900	1,329,500	1,427,300	1,106,000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

ამგვარად, ძნელია საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ბიუჯეტი უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული ხდება. საქონელი და მომსახურება შეადგენს მთელი ხარჯების დაახლოებით 13.5%-ს ხოლო შრომის ანაზღაურება დაახლოებით – 14.75%-ს. ამასთანავე, ფარდობითი მნიშვნელობით, 2014-2018 წლებში მუდმივად კლებულობდა შრომის ანაზღაურების წილი მთელ ხარჯებში. მსხვილი ინფრასტრუქტურული ხარჯებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესრულების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 2018 წლის 9 თვის განმავლობაში ათვისებული ჰქონდა გამოყოფილი მილიარდი ლარის დაახლოებით 79%, რაც შეიძლება ათვისების დამაკმაყოფილებელ ტემპად ჩაითვალოს. მსხვილი სოციალური ხარჯების მიმართულებითაც ათვისების ტემპები დამაკმაყოფილებელია. **ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლარის ამასწინანდელი გაუფასურების გამო, საბიუჯეტო ხარჯების რეალური მნიშვნელობა და მათი ზრდა არც ისე შთამბეჭდავია, როგორც ვალუტის კურსის უცვლელობის პირობებში იქნებოდა.**

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა

2019 წლის ბიუჯეტის გეგმა 2018 წლის გეგმასთან შედარებით შესაძლებელია გარკვეულწილად კონსერვატიულად დახასიათდეს, ვინაიდან არ იგეგმება შემოსულობების რადიკალური ზრდა, ისევე როგორც გადასახდელებისა.

ცხრილი #4. სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები 2018-19 წლებში			
დასახელება	**2018 წლის გეგმა**	**2019 წლის გეგმა**	**სხვაობა**
შემოსულობები	**12,440 ,998**	**12,863,750**	**422,752**
შემოსავლები	10,314,248	10,487,700	173,452
გადასახადები	9,490,000	9,645,000	155,000
გრანტები	414,248	382,700	-31,548
სხვა შემოსავლები	410,000	460,000	50,000
გადასახდელები	**12,459,500**	**13,090,000**	**630,500**
ხარჯები	9,720,893	9,641,118	-79,775
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,628,530	2,152,313	523,783
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	349,995	362,690	12,695
ვალდებულებების ზრდა	760,082	933,879	173,797

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: გამოყენებულია დამრგვალებული რიცხვები

გადასახდელების მიმართულებით არსებითი ცვლილება აბსოლუტური მნიშვნელობით არ შეინიშნება, თუ გავითვალისწინებთ წინა წლების ზრდის მაჩვენებლებს. ხარჯების მიმართულებით ყველაზე გამოკვეთილი მატება ფიქსირდება არაფინანსური აქტივების მხარეს და ზრდა აქ დაახლოებით მესამედს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დონორთა კონტრიბუცია ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში 1.32%, ხოლო ხარჯებში – 3.22%-ია. **დონორების მნიშვნელობის თანდათანობითი შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასა და აღსრულებაში უთუოდ დადებითი ტენდენციაა.**

მთლიანობაში, შესაძლებელია ითქვას, რომ ბიუჯეტის ხარჯებისა და შემოსავლების ზრდა საკმარისად კარგ თანხვედრაშია როგორც მთავრობის, ისევე სავალუტო ფონდის მაკროეკონომიკურ პროგნოზთან და სადღეისოდ არსებული ინფლაციის მაჩვენებლებთან და ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელ ტემპთან.

ცხრილი #5. სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პარამეტრების მიმართება მშპ-სთან%								
	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საოპერაციო სალდო	5.3	5.7	3.6	2.6	3.4	2.5	4.6	4.7
დეფიციტი (მთლიანი სალდო)	-0.9	-0.6	-1.1	-2	-1.1	-1.3	-0.9	-1.3
დეფიციტი (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით)	3.6	2.8	2.7	3.2	3.7	4	3.9	3.3
დეფიციტი (სავალუტო ფონდთან ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით)	2.1	1.8	2.2	2.5	2.7	3	2.9	3.3

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მნიშვნელობა 2018 წლის წინასწარი მონაცემებით 2011-18 წლების პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, თუმცა ამავე დროს მაღალია დეფიციტის მთლიანი სალდოს მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან. ამის გამო, ასევე მაღალი რჩება ბიუჯეტის დეფიციტის მიმართება მშპ-სთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების მიხედვით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნები 2018 წლამდე ყოველთვის უფრო მკაცრი იყო საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში, ამიტომაც საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი ფაქტობრივად სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებულზე მაღალ დონეზე რჩებოდა. 2018 წელს დაგეგმილია ორივე მოთხოვნის კონვერგენცია, რისი შესრულებაც 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო მონაცემების გაცნობით გახდება შესაძლებელი. მომდევნო წლებში, განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკის მერყეობის ფონზე, დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს მიერ ბიუჯეტის შედარებით კონსერვატიულ დაგეგმვასა და განხორციელებას, რამაც მაღალი დეფიციტის თავიდან არიდების შესაძლებლობა უნდა შექმნას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საგარეო ვალის მნიშვნელობა, და შესაბამისად მისი მომსახურების მოცულობა, ლარებში გადაანგარიშებით.

რაც შეეხება სახელმწიფო შიდა და საგარეო ვალების პარამეტრებს, 2018 წელს ბოლო ხუთი წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულზე დაფიქსირდა საგარეო ვალის აბსოლუტური მოცულობის ფარდობა მშპ-სთან და მიუახლოვდა საკმაოდ საშიშ 50%-იან ზღვარს.

ცხადია, საგარეო ვალის ეს ზრდა უმეტესწილად ლარის გაუფასურებითაა განპირობებული, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვალის ზრდის ტენდენცია 2013 წლიდანაც სახეზეა, რაც წინ უძღვის ლარის დევალვაციის ეპიზოდს. ერთგვარად შემცირებულია საშინაო ვალი, თუმცა თავად საშინაო ვალის მოცულობა საგარეოს დაახლოებით ოთხჯერ ჩამორჩება, და ცხადია მის მომსახურებაში მიღებული შეღავათი ვერ გადასწონის საგარეო მიმართულებით არსებულ სირთულეებს. **მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი იქნება საგარეო ვალისა და მი-**



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: 2018 წლისათვის მოყვანილია დამრგვალებული წინასწარი მონაცემები

სი მომსახურების სტაბილიზაცია, თანაც ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მაინც ახერხებდეს ეკონომიკის სტიმულირებას ინფრასტრუქტურული და სხვა აუცილებელი სამუშაოების ეფექტიანად წარმოების ფონზე. ამისათვის საჭირო იქნება ხარჯების მაქსიმალურად გონივრული დაგეგმვა, ხოლო შემოსავლების მიმართულებით კონსერვატიული პროგნოზებით ხელმძღვანელობა.

რეკომენდაციები

ეკონომიკური ზრდის ტემპები სტაბილურია, მაგრამ დაბალი. სასურველია მათი ზრდის ხელშეწყობა. მართალია, სახელმწიფოს ინსტრუმენტები ამ მიმართულებით საკმაოდ შეზღუდულია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ფისკალური, ასევე მონეტარული პოლიტიკის სტაბილურობა და მათი სინქრონიზაცია. ამას შეუძლია ბაზარზე პოზიტიური მოლოდინები შექმნას და ხელი შეუწყოს ინვესტიციებს ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამავე დროს, საბიუჯეტო მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ფრთხილი მიდგომების გამოყენება, განსაკუთრებით ხერჯების მიმართულებით. მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურული ხარჯების თანმიმდევრულად გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა.

მნიშვნელოვანი იქნება თანმიმდევრული პოლიტიკის შენარჩუნება ლარის კურსთან დაკავშირებით. ნეგატიური საგარეო შოკის შემთხვევაში, ისევე როგორც ახლო წარსულში და მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში, რეზერვების ხარჯვა შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომაც, ეროვნულმა ბანკმაცა და მთავრობამ უნდა იქონიონ კრიზისულ შემთხვევაში მოქმედების სტრატეგია და უზრუნველყონ კურისის გონივრული მართვა შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამერიკის ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთის შესაძლო აწევა და გლობალური ეკონომიკის მერყეობა, სავარაუდოდ პრობლემას შექმნის უცხოური კაპიტალის შემოდინების მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია დოლარის კურსის ზრდა ლართან მიმართებაშიც. ასეთ შემთხვევებშიც აუცილებელი იქნება განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედება მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელი იქნება ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ქმედებათა კოორდინაცია.

აუცილებელია გამოირიცხოს საგარეო ვალის მართვის კონტროლიდან გამოსვლის შესაძლებლობა, რაც ისევ და ისევ უკავშირდება სტაბილურ და ერთგვარად კონსერვატიულ საბიუჯეტო პოლიტიკას. საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში გასათვალისწინებელი იქნება ის გარემოება, რომ უცხოური ინვესტიციების ნაკადები, ზოგადად კაპიტალის შემოდინება და სოციალური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი პირდაპირი ტრანსფერტების შემოსვლა შესაძლოა სასურველზე ნაკლები აღმოჩნდეს.

2019 წელს ეკონომიკური შოკების საგარეო ფაქტორებზე მოდის. ამის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება ზრდის შიდა რესურების, მაგალითად მომსახურების სფეროში ჩართული წარმოების ფაქტორების ეფექტიანობის ხელშეწყობა. ამაში მოიაზრება ინფრასტრუქტურის განვითარება, დეცენტრალიზაციის ინიციატივების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

რეკომენდებულია მთავრობის მიერ ბოლო დროს გატარებული რეფორმების შედეგების შეფასება და ანალიზი. მაგალითად, ეს ეხება ლარიზაციის პროგრამას. მის შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სტაბილურობისა და დაზოგვა-ინვესტირების, ასევე მონეტარული და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამვე დროს, რეკომენდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წამოწყებული პროგრამების მონიტორინგის გაძლიერება მათი ეფექტიანობისა და გაგრძელების მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
www.eprc.ge